






ნომერი ქუთაისის სპეციალური განხრით



„შრომის ენტუზიაზში, რომლითაც ჩვენს უველა ბუპრობილი ვართ სოციალ-ზმის შენებისას ჩვენს სამშობლოში, გვაახლგაზრდავენს უველა ჩვენთაგანს. რამდენადაც წინ მივდივართ ჩვენი იდელების განხორციელებაში, იმდენად უფრო შინაარსიანი და სრულფასიანი ხდებიან ჩვენს მიერ გავლილი წლები, რომლებიც უნდა გაიზომოს არა რიგვობრივად, არამედ ხარისხობრივად. ამ მოსაზრებათა გამო, გთხოვთ ჩამომაკლოთ წლების ნახევარი და სამოცი წლისად არ ჩამთვალოთ“.

— აქედნხანს მივალფავდით მიზანს, რომ ეს არ გვიშლიდეს ხელს

ნახ. ს. ნადარეიშვილის



სამოცი წლის ასალგაზრდა

მს იყო ოქტომბრის პირველ დღეებში.

სახკომსაბჭოსაგან დეპეშა მიიღო, რომ იგი ინიშნებოდა საბჭოთა რესპუბლიკების დიპლომატიურ წარმომადგენლად ინგლისში.

რევოლუციონერი (ისიც ბოლშევიკი), ემიგრანტი, არალეგალური მოძუშავე, რომელიც იატაკისქვეშიდან უთხრიდა ძირს მოკავშირე რუსეთს და... და აგერ იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლად, რომელსაც თითონ ინგლისი უპირებს ჩაყლაპვას.

არ იცნო, არ მიიღო ამხ. ლიტვინოვი ინგლისის მთავრობამ წარმომადგენლად. კიდევ მეტი: როგორც კი გაიგო ინგლისის მთავრობამ, რომ მოსკოვში დააპატიმრეს ინგლისელი ჯაშუში ლოკარტი, მაშინვე დააპატიმრეს ამხ. ლიტვინოვიც.

ყვავსაც თავისი ბაზალა უყვარსო, და მათაც უყვარდათ ლოკარტი; ადგენ და თავის ნებზე იყენი, მარგალიტი გავიცვალეს. მხოლოდ და მხოლოდ ამით არის და დარჩება ისტორიაში ლოკარტი „დიდ კაცად“. ასე იცის ისტორიამ ხადახან ხუმრობა.

ჩამოვიდა ამხ. ლიტვინოვი საბჭოთა კავშირში.

იგი გაგზავნეს შვეიციაში.

სტოკჰოლმიდან ყველა ქვეყნებს მიმართა ზავის დასადებად და მშვიდობიანობის განსამტკიცებლად.

— რა დროს ზავი და მშვიდობიანობაა. ჯერ ნადავლი არ გავიყვია და ვერც საკმაოდ გვიშოვნია. — უთხრეს იმპერიალისტებმა შვეციის მთავრობას, რომელმაც ამხ. ლიტვინოვი შვეციიდან გამოასახლა.

ეს იყო 1918 წლის დასასრულს.

სოლო წელს კი იანვრის მიწურულში ამხ. ლიტვინოვი, ძღვემოსილი საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა კომისარი, მსოფლიოში უდიდესი დიპლომატი და მშვიდობიანობისათვის დაუღალავი მებრძოლი ლონდონს ჩავიდა მეფე გიორგი მეხუთის დაკრძალვაზე. როცა ამხ. ლიტვინოვის გემი გაშორდა პადე-კალეს და გამოჩნდა ნავთსადგურის შესასვლელში, დუფრის ციხე-სიმაგრე მას ზარბაზნების სალუტით მიესალმა. შესაძლებელია, ეს ის ზარბაზნები იყვნენ, რომლებიც სამოქალაქო ომის წლებში ღრღინდა ჩვენ მიწა-წყალს. ამ ზარბაზნებმა ოცდაერთი გასროლით ბოდიში მოიხადეს ინგლისის ახლანდელი მთავრობის დავალებით თერაპეტი წლის წინად ინგლისის მაშინდელი მთავრობის მიერ ამხ. ლიტვინოვის მიმართ ჩადენილი წინდაუხედავი საქციელის გამო. ამხ. ლიტვინოვს ახლაც ისეთივე ღიმილი უთამაშებდა სახეზე, როგორც მაშინ, როცა იგი მიჰყავდათ ოქტომბრის პირველ დღეებში ლონდონის პოლიციელებს სკოტლანდ-იარდის ციხეში.

ახლა კი ამხ. ლიტვინოვს ლონდონის სადგურში შეხვდნენ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლები, პრესის უამრავი მუშაკი და არანაკლები ფოტოგრაფები. გაიმართა დარბაზობა ბუკინგემის სასახლეში... ახალ მეფე ედუარდ მერვეს მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა... ვიზიტი პრემიერ-მინისტრ ბოლდუინთან... შეხვედრა პოლიტიკურ ლიდერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და სხვა ქვეყნის დიპლომატებთან.

და კიდევ რამდენი ასეთი გამარჯვება!

არინან უცხოეთში ისეთებიც, რომლებსაც სძულთ ამხ. ლიტვინოვი, რადგან საუკუნის ერთ მეხუთედზე მეტი მას უმუშავნია იატაკქვეშ, არალეგალურად, მალულად, ჩუმად. ახლა კი გამოდის და ამხელს მათ მალულ მუშაობას, ხდის კულისებს ფარდებს, ააშკარავებს მათ დამალულ შავ ზრახვებს. განიარაღების მომხრე, თითონ არის შეიარაღებული თავიდან ფეხებამდე უძლიერესი იარაღით: სამშვიდობო არგუმენტებითა და დოკუმენტებით, პაქტებითა და ხელშეკრულებებით, კემშარიტებითა და სიმართლით, ყველა ქვეყნის მშრომელთა თანაგრძობითა და სიყვარულით. ძნელია მასთან ბრძოლა და ამიტომაც ერთხელაც არ განუცდია დამარცხება.

ფიზიკურად რომ მართლაც არსებობდეს „მშვიდობიანობის ანგელოზი“, რომელსაც ასე ხშირად ხატავენ შარტებში, იგი კალთებზე ჩამოეკიდებოდა ათეისტ ამხ. ლიტვინოვს და არ მოშორდებოდა მას, რადგან იქნებოდა სამშვიდობო ალაგას, ვიდრე ახლოს გაეკარებოდა მათ, რომლებიც ყოველდღე ღმერთსა და ანგელოზებზე ლოცულობენ.

... **თუ ვართალია** ოსკარ უალდი, რომ ადამიანს ექვს იმდენი წელიწადი, რამდენსაც იგი გრძნობს, მაშინ თქვენი მოლოცვებში ჩემი სამოცი წლისთავე ძალიან ნაადრეგია. ამასთან ერთად შრომის ენტუზიაზმი, რომლითაც ჩვენ ყველა შეპყრობილი ვართ სოციალიზმის შენებისას ჩვენს სამშობლოში, გვაახლგაზრდავენს ყველა ჩვენთაგანს. რამდენადაც წინ მივდივართ ჩვენი იდეალების განხორციელებაში, იმდენად უფრო შინაარსიანი და სრულფასიანი ხდებიან ჩვენ მიერ გავლილი წლები, რომლებიც უნდა გაიზომოს არა რიცხვობრივად, არამედ ხარისხობრივად. ამ მოსაზრებათა გამო, გთხოვთ ჩამოაკლოთ წლების ნახევარი და სამოცი წლისად არ ჩამთვალეთ — ასე მოიწერა ამხ. ლიტვინოვმა მონტრედან, სადაც სამოცი წლის ახალგაზრდამ ერთხელ კიდევ გაიმარჯვა.

ჩამოკლებული ნახევარი არის მომავალი, რომლის განმავლობაშიაც ამხ. ლიტვინოვი გახდება მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გარეშე საქმეთა კომისარი... მაგრამ, ეს არ მოხდება, რადგან მაშინ აღარ იქნება საჭირო ეს თანამდებობა, რადგან ქვეყნებს შორის არაფერი იქნება სადავო და გამოსარკვევი.

ზიკაგოში (ამერიკა) ნეგრი სტ უდენტი დაითხოვეს რესტორანიდან...

თანამშრომლობდა რესტორანში სტუდენტი ნეგრი
თურქიკანიანი მეპატრონე რესტორანს უავდა;
მას არ მოსწონდა სახისფერი ნეგრი თანამშრომლის,
მის შეხედვაზე თავის ფერსაც ხშირად ჰკარგავდა.
თანამშრომლობდა რესტორანში მოახლე ქალიც
თურქიკანიანი, ახმან ტანის, ამერიკელი,
უშნო, მახინჯი, მის შეხედვას ვინც გაუძლებდა,
გმირობისათვის ეკუთვნოდა ქების სიგელი.
ერიდებოდნენ მოახზე ქალს თანამშრომლები
და გზად გადამდგარს როს ხედავდნენ იმ საფრთხობელას,
მყისვე სახეზე ორივე ხელს მიიფარებდნენ
და გამვლელთაგან მოითხოვდნენ ხსნასა და შეველას.
სტუდენტი ნეგრი დაითხოვეს რესტორანიდან,
რადგან იმისი სახისფერი ზოგს არ მოსწონდა;
თუ სამართალი დათხოვას იკითხავს მიზეზს,
ბასუხი მზად აქვთ: საამისო „მიზეზი ქონდათ“.
„ნეგრმა გაზედა თურქიკანიან ქალის აღერსი
ის აღუთქვამდა მოახლე ქალს თავის გულში ბინას“. —
ო, ეს „მიზეზი“ სიმახვილით უმკვეთრესია
ბრახის თავსავით გადაკვეთავს ქვასა და რკინას.

ინფორმაცია

ინგლისში შეგზალოთიანების (ფაშისტურ
ორგანიზაციის) პროპაგანდის განყოფილე-
ბის გამგის მიერ მოწყობილ მიტინგს გრი-
ნვიჩში 12 კაცი დაესწრო. იმავე დროს,
იმავე ადგილზე კომკავშირის მიტინგზე
500 ახალგაზრდა შეგროვდა.

პროპაგანდისტი
ფაშისტების
ბედს ეძღურება
თვის თვალთ ხედავს
„შავ ხალათის“
გაბათურებას;
მაგრამ პრესა კი
ფაშისტური ჭორებით სავსე
გამოაქვეყნებს
ამ საკითხზე,
გვწამს,
ცნობას ასეთს:
„შესდგა მიტინგი ფაშისტები!
დიდრიცხოვანი,
მოზღვავედა ხალხი,
ყოველ კუთხით,
მოყმე, მცხოვანი.
კომკავშირელებსაც
(იმათ ბანაკში ჩვენი მტრები!)
მიტინგი ჰქონდათ
ორი კაციც არ დასწრება“

რისგან უგებენ?

ქალ. ესენის ფაშისტურმა ხელისუფლე-
ბამ (გერმანია) დაიწყო ცნობილ „ზარბაზ-
ნების მეფის“ სამხედრო ქარზნის მეპატრო-
ნის ფრიდრიხ კრუპის დიდი ძეგლის აგება.

კრუპის ქარხანა,
მექარხნე კრუპი
ხალხთა საყლეტად
ქმნიდა იარაღს,
მრავალს წაართვა
სიცოცხლე ომმა,
ბევრს დღესაც შერჩა
ძველია იარა.



ხალხს ადებს გულზე ამ მძიმე ლოდებს,
რათა ვერ ადგეს ის ვერასოდეს.


მაგრამ ამაო არის ცდა მისი:
უკვე დაიწყო მისი დაისი.

ყიღდა მანქანას
ხალხის საყლეტად
და უზღვავე ხალხის
სიცოცხლეს ნთქავდა
სპობდა სიცოცხლეს
და მოგებული
ფულოთ
თავისთვია

ოქროს მთიებს დგაძღ
ძეგლის ღირსია!
ო, ის „ამავს“
ბრმაც კი შეხედავ
ზამქრალ თვალებით
ძეგლს რით უგებენ ნეტა
ქვისგან თუ,
დახოცილ ხალხთა თავის ქალებით?!



დებარდინგი—უემიყვარდა თქვენი მხარე, მინდა თქვენსკენ გადმოვფრინდე...
გერმ. ფაშისტები: — მომიტანდე უემასხვედე, ეგებ ცოტა მოვჯოზინდე.



მე ვარ პროფესიული მონადირე. მყავს საუკეთესო მეძებარი. წმინდა სისხლის პოინტერი. ამ ზაფხულის დაკვირვებებმა კინალამ დამარწმუნა, რომ ძაღლი, თუნდაც პოინტერი, უსათუოდ მგლისაგან არის წარმოშობილი და მამასადამე, მტაცებელის თვისებები აქვს.

ცოლშვილი ავარაკზე გავგზავნე და მე და ჩემი ძაღლი მარტო დავრჩით.

სამსახურში ძაღლის წყევანა უხერხულად მივიჩნიე მას შემდეგ, რაც ამისათვის, კანცელარიაში ძაღლის დამშმის გამო საყვედური მივიღე (რწყილები ჰყავდა და თანამშრომლებს აწუხებდა).

დაახ, ესე იგი, იძულებული გავხდი ძაღლი ეზოში დამეტოვებინა და პირველად ორი დღის განმავლობაში არ დავბრუნებულვარ. დავბრუნდი თუ არა, სახლის პატრონი დამეტაკა: თურმე ჩემ ძაღლს მისი ქათამი შეეჭამა.

— სად გყავდათ ქათამი? — შევეკითხე მე.

— სად მყავდა და სუფრაზე: დავკალი, მოვხარზე და უნდა მესადილნა. სამზარეულოში გავედი და როცა შემოვბრუნდი, ქათამი აღარ იყო: თქვენს ვობლას მოეტაცნა და ეზოში მიირთმევდა.. კეთილ ინებეთ და ქათამის საფასური ვადამხადეთ.

ბევრ ვიკმათეთ, მაგრამ ბოლოს მეზობელმა თავისი გაიტანა და ქათამის ღირებულება ვადამხადევიანა.

მაშინ პირველად ვამიელვა აზრმა ძაღლის, კერძოთ კი ჩემი ვობლას (ჩემი ძაღლის სახელია) მტაცებლური თვისებების შესახებ.

გავიდა ორი დღე. ჩემი ვობლა ისე მიყურებს, თითქოს არავითარი ცოდვა არ მიუძღოდეს. ეს ორი დღეა თავი კარგად უჭირავს.

მესამე დღეს სახლის პატრონი სახე-გამაგებული შემხვდა. ტანში დამცელა.

— ყმაწვილო, მეტი აღარ შეგვიძლია... ან ჩვენ, ან თქვენი ძაღლი..

— კიდევ მოხდა რაიმე?...

— ჰმ! კიდევ? დღეს ამოგვადო სწორედ. ვასტრონომში სეფანის კალმახი ვიყიდეთ, სტუმრები გყავდა დაპატიუებული. მოვიტანე და ვასარეცხად დავდე. თქვენი ვობლა არსად ჩანდა. მაგრამ.. გაი, მოვალეობა! (მუხლზე ხელი შემოიკრა), პურის საყიდლოდ წავედი და როცა დავბრუნდი, თუგზის ნასახი აღარ იყო. მეგზოვე კი თქვენს ძაღლს მისდევდა კეტით. საცაა ჩემი ცოლი მოვა, მწვანელი უნდა მოიტანოს.. როგორ დაეუხვდე სახლში? გაი ჩემს უბედურებას!.. მუხლოები მომეკვითა.

— მე მოგცემთ კალმახის ღირებულებას, იყიდეთ ხორცი ან სხვა რაიმე. ოღონდ თქვენს მიუღწეოს ნუ გაუხმელთ ძაღლის ამბავს.. მეშინია, არ მომიწამლოს.

კენესით ვამომართვა სამი კილო კალმახის ფული. მადლობა ალაპს, დიასაღლის არაფერი ვაუგია.

მთელი საღამო ვუჯავრდებოდი ჩემს ჯიშთან ვობლას. იგი უსაზღვრო ნდობით მწყობრობდა და თანაც ისე ეჭირა თავი, თითქოს მამაბრამის ბატონი ყოფილიყო.

სამი დღის შემდეგ სახლის პატრონი სამსახურში მოვიდა და განმიცხაია, რომ... ვობლას მისთვის წაერთმია შემწვარი მამალი ინდოური.. რომ აყალმაყალი არ ატეხილიყო, მე იმ წუთშივე ავიღე ავანსი და ვადამხადე ღირებულება.

დავფიქრდი: მოვკლა თუ არა ეს ჩემი ძაღ-

ლი? ეს ფიქრი მაშინვე მოვიშორე, რადგანაც ვობლა ჩემს თავს მიჩვენია. ბავშვები ხომ გავიყვებოდნენ ვობლას დაკარგვით!..

რამდენიმე დღის შემდეგ... ჰოი, მოულოდნელობა! სამსახურში დიასახლისი მომადგა, ვანზე გამიხმო და გამგესთან შემყევით, მომთხოვა. ფერწასული იყო და მძიმედ სუნთქავდა.

ერთის სიტყვით, ვობლას წაელო მთელი ბატკანი, რომელიც დიასახლისს ეყიდა მისი სახლის დღის გამო... (აი, გაწყდეს მისი სახელი!..).

ურთიერთდამარების სალაროდან გამოვიტანე სესხი: ბატკნის ფული...

ლამით სიმღერა და ცეკვა მესმოდა მათი ოთახიდან. ვობლას აღუშფოთველად ეძინა. მე კი საკუთარი თმები მიჭირა ხელით.

ერთი სიტყვით, ცოტა ხნის შემდეგ შემნახველ სალაროდან გამოვიტანე პატეფონის ფულის ნაწილი, ვინაიდან შეჩვენებულმა ვობლამ კვლავ გაიტაცა რამდენიმე ქათამი, ინდოური და მთელი რიგი სხვა პროდუქტები. გავვიდე აგრეთვე პატეფონის ფირფიტები: სულ ერთია, პატეფონის ფული ვობლამ შეჭამა.

ბოლოს, სავსებით დავრწმუნდი რა ვობლას მტაცებლობაში, მე ვადავწყვიტე მისი მოკვლა და თოფიც მოვამზადე.

არ ვიცი, რით ვათავებებოდა ეს ამბავი, რომ ერთ გარემოებას არ შეშალა ხელი. სალამოს დაკბრუნდი სამუშაოდან (ვობლას გამო შედმეტსაც ვმუშაობდი) და ჩუმად შევედი ოთახში. სინათლე არ ამინთია.

სახლის პატრონი და მისი მეუღლე აივან-

ზე იყვნენ და რალაცაზე გაცნარებით მსჯელობდნენ. ჩემი სახელი გავიგონე. წამოვსტი და ფანჯარა ჩუმად გავაღე. ახლს უკვე გარკვევით მესმოდა ყველაფერი.

— მე შენ გეუბნები, არ ვადავა! შვიდასი კი არა, შვიდი ათასი რომ ვადაიხადოს, მაინც არ წავა, რადგანაც ასეთ ოთახებს ვერ იშოვის. — ეუბნებოდნენ ქმარი.

— რამდენს იძლევიან ახლა?

— თორმეტ ათასს... მე მეგონა წავიდოდა, მაგრამ რომ არ მიდის...

— მოდი, ძაღლი მოვკლათ.

— დავიმტკიცებს, მომიკლესო... მაინც არ წავა!

— მაშ რა ექნათ?

— განვავრძოთ ასე... ხვალ რის ფული ვადავანდევინოთ?

— აღარ ვიცი, თვენახევიარში შვიდასი ავიღეთ. მოდი, ხბო წაიღო მთელი თქო ვუთხრათ...

— კი, მაგრამ ხბო დიდა ძაღლი ვერ წაიღებდაო, იტყვის.

— არა უშავს, მართლა ხომ არ ეყილულობთ? ეგ მაინც ვერ მიხვდება...

— რამდენი დავაფასოთ.

— თორმეტი თუმანი.

ერთი სიტყვით, ვამოიკვია ყველაფერი. თურმე საწყალ ვობლას არავითარი ქათამი და ვაჭი არ შეეუჭამია... სახლის პატრონებს თურმე ჩემი ვამეგება სურთ ბინიდან, რომ ეს ბინა ვაჰყიდონ...

ხვალ ალბათ მომაკითხვენ ხბოს საუბარის ასანაზღაურებლად. მე იმათ კარგად ავუნაზღაურებ.

აღლარ-აღლარსან.

ორმაგი ნათლობა

ჩახ. დონის



- რა ამბავია ამ ჩვენს ზაქარია კილას ონიისას
- ბავშვის ნათლობა ვადაიხდა და კორნახელი სიმამრის სტუმრები და აქაურ ხილისთაველები ერთმანეთს დაერივნენ..
- ჰოო, ალბათ ესენიც ერთმანეთს ნათლავენ შეხე, რამდენი თავი გატეხილა.
- ცარილ თავებს ვინ ჩივა, რომ ღვინით სავსე ბოთლები არ დამტვრეულიყო.

ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის შუშისა და მოზაიკის ქარხანას კედლები გამოენგრა და ქუჩის პირას ზარმაცი კაცივით წამოწოლილა. როცა მიდიხართ რკინიგზის სააგადმყოფოში, აქ უნდა გაიაროთ მოზაიკის ქარხნის შუაში, ვინაიდან ქარხანას ქუჩაში აქვს დაყრილი თავისი პროდუქცია და ნედლი მასალა. ხრეშის ნაცერი, მტვერის კორიანტელი უხვად ფერქვევა გამოვლელს ცხვირ-პირში. აქ საჭიროა სიკვირტე, რომ მალე გაიბრინო და ავტომ ან დროგმა არ მოგასწროს, თორემ ქვებზე მიგაჭექებს. თუ მშვიდობით გადარჩით, ათი ნაბიჯის შემდეგ იწყება ქარხანა, ანო „ტალახის სამკურნალო“, როგორც აქ ეძახიან. ამ ქუჩის მოკირწყლული ფართობი მთლიანად შეიცვალა. ახლა იქ თხრილ-ორმოებია. ქარხნის ნარეცხი გადმოდის ქუჩაში და ლორებისათვის საუცხოვო ტალახის აბაზანებია მოწყობილი. ბაყაყებიც საამურ სიმღერას არ აკლებენ ქარხნის ადმინისტრაციას.

ორმოც ფეხის ნაბიჯზე თქვენ გეცემათ შმორის სუნი. გაივლით ცოტას და წააწყდებით საპირფარეოების ნაწრეტ ტბას, დაგროვილ ნაგავს, მუხლებამდე ტალახს, კოლოებისა და მატლოების ჭაობს, ცხენების ნაკვალს. თქვენ წინ აღიმართება ქუთაისის რკინიგზის სააგადმყოფო.

ვთქვათ, შედიხართ კვარცის მისაღებად რენტგენის განყოფილებაში, რომელსაც ერთი პატარა ოთახი აქვს მიჩნეული. შესვლისთანავე როგორც ბტლის ცხენს, ისე აგაფარებენ თვალზე საფარს, რომ არ დაფეთდეს გაჭირვალდება ტახტი. ვიღაც შეშფოთდება. გაგიტაცებს ცნობისმოყვარეობა. მოპარულად გაიჭვირტაცა და თქვენ წინ წევს ნახევრად შიშველი ქალი. ხიდავთ და უხერხულობას გრძობთ, მაგრამ რა ქრას სააგადმყოფომ, თუ მეტი ბინა არ აქვს!

კიდევ უარესი, ისმის ხმაური. აღებენ ვარს. შემოდის ამ პატარა ოთახში უზარმაზარი კაცი, ვენერიული სენის ექიმი მაჭავარიანი. მას მოჰყვებიან თავისი პაციენტები. თურმე უბინაობის გამო ხან სად უკეთებს აგადმყოფს შეხვევებს, გამორეცხვას და ნემსს და ხან სად.

სააგადმყოფოს ერთად ერთი შირმა აქვს. ხან ბებია ქალი იტაცებს, ხან—ფიზიოს ექიმი და ხან—ვენერიულას ექიმი.

თქვენ იტყვით: ეს ნერვების ასაშლელი უფრო ყოფილა, ვიდრე დასაწყნარებელიო. მეც გითანხმებით. თქვენ იტყვით: ქუთაისი იზრდება და სილამაზით ირთვება. ნუ თუ მოსათმენია ასეთი სიმახინჯე.


მეც თქვენთან ვარ.

კობტა.



ნიანზი: — რას ეძებთ, მატყვევებელი დიოგენ ამ შუადღისას ანთებული ფარნით?
დიოგენი: — ხეირიან სასადილოს ვეძებ, სუფთას და კულტურულად მოწყობილს, მაგრამ ვერ ვნახულობ!

თხა და კოლია



თხა, რომელმაც განკურნა ბალდადის რაი-ალმასკომის ინსტრუქტორი, პარტიის წევრი კოლია ლეშანის-მა არწივიძე, რომელიც დაავადებული იყო ყულტირებით. მისი მკურნალობა ხდებოდა ადგილობრივი დედაბრებისა და ექიმბაშების მეთვალყურეობით. თხას შეუღებეს წვერები და მიაბეს იმ ლოგინზე, რომელზედაც იწვა ავადმყოფი კოლია. მორწმუნე კოლიას უშველა ცრუმორწმუნეობამ და განიკურნა იგი.

ერთხელ ჭადრაკის თამაშით გართობა განვიზრახე და ქუთაისის სსრკ-ის კლუბს მივაშურე. კლუბი დაკეტილი დამხვდა, მაგრამ ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ოთახის ერთ ნაგვიან კუთხეში (უნაგვო კუთხე იმ ოთახს არა აქვს) ჭადრაკის ფიგურები ერთად შეგროვილი ვნახე. ფიგურებს კრება გაემართათ და რაღაცაზე დავიდარაბობდნენ.

— ძვირფასო ამხანაგებო.—ომახიანად დაიწყო ლაზიერმა.—აუტანელია ჩვენი გაკვირვება. ჩვენი ბინა ბინას არა ჰგავს, ჩვენს პატრონი უდიერად გვეჩქევა. გვეყო ამ ბნელეთში ყოფნა, გვეყო ამდენი მტერის ყლაპვა. მოთმინების ფაალა აივსო...

— სწორედ რომ აივსო.—დაიჭიხინა მხედარმა.—ერთი ფეხი გუშინწინ მომამტკირეს. ჩემს ამხანაგს თავიც კი წააგდებინეს. ამ ბნელაში — ყოფნამ თვალები დამიბნელა. სწორ გზას ველარ ვიკვლე და მიხვეულ-მოხვეულად მივლივარ დანიშნულ ადგილისაკენ. განა ეს ცხოვრებაა?

— დიხანც, არ არის! ჩვენს ცხოვრებას სიკვდილი სჯობს!—გულსაკლავად წარმოასთქვა კუმ და სიტყვა ეტლს დაუთმო.

— ჩემო ძვირფასებო,—ჭრიჭინით დაიწყო ეტლმა,— აქ რაცა ბრძანეს, ყველაფერი მართალია. მე ახლა ისე ვარ დანჯღრეული, რომ მეტის თქვა აღარ შემიძლია.

უცებ საიდლანაც ნაგავში ჩაფლული ჰაივი ამოიხიხდა და გაუბედავად დაიწყო:

— გულში ჩემი ამხანაგი ნაგავში დაიხრჩო... დღეს თუ ხვალ მეც ის დღე მელის...

— დაწყნარდით, ყრმანო, დაწყნარდით.— გააწყვეტინა მეფემ ჰაიკს და დარბაისლურად განაგ/ძო:—მე განა თქვენზე უარესი დღე არ მადგია! მაგრამ ვერას გვარგებს აგრე ჩივილი. ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვეთკირსაო, ხომ გაგიგონიათ. ჩვენ გზა უნდა გამოვინახოთ. ამიტომ შემომაქვს წინადადება: ყოვლის შემძლე ლაზიერი, ძლიერი ძლიერთა შორის, რომელსაც ყოველი მიმართულებით შეუძლია სიარული, გაგზაუნოთ ქუთაისის ფიზკულტურის სამუკომში და იქ მოახსენოს ჩვენი გასაჭირი. მგონი ლაზიერი ამას არ დაიზარებს, ჩვენ კი მანამდის გათიქვა გამოვაკახაოთ, სანამ კარ ბინას არ გვიმოგვნიან, სანამ კარგ მომვლელს არ მოგვიჩვენენ და სანამ წესიერად არ მოგვეპყრობიან.

მეფის წინადადება ყველამ მოიწონა. ლაზიერმა ეტლს ორი მხედარი შეუბა, თვითონ შიგ ჩაჯდა და გარეთ გამოსვლა დააპირა, მაგრამ კარები დაკეტილი დაუხვდა. მაშინ ისკუბა, ფანჯარა ჩაამტკირა და გარედ გამოვიდა. ისე ჩამიარა, არც კი შეუქმნევივარა.

საინტერესოა, რა პასუხს მოიტანს ლაზიერი.

ცი—ლი.


ს ე მ ო ც ა ნ ა

ქუთაისის შუშმშენის აგურის ქარხნის დირექციამ შეადგინა ქარხნის წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა 5 თებერვალს ორი დღის შემდეგ გადაუგზავნა განსახილველად და დასამტკიცებლად შუშმშენის მთავარ ინჟინერ ეგოროვს, რომელმაც გადასცა გეგმა დაუმტკიცებლად ტფილისის მაუბუქი მრეწველობის მშენებლობის ქუთაისის კანტორას, ხოლო ამ უკანასკნელმა — თავის ეკონომისტ კოლენსიკოვს 1 აპრილს.

ეკონომისტ კოლენსიკოვმა გეგმა დაასილოსა უჯრაში. ამოცანა გვეკითხება: რამდენი დრო გაატარა გეგმამ ინჟინერი ეგოროვის და ეკონომისტ კოლენსიკოვის უჯრაში ერთად და ცალცალკე. როდის განიხილავს და დაამტკიცებს მას კოლენსიკოვი. შეუძლია თუ არა ქარხანას უგეგმოთ მუშაობა.

სიმი

კლიმენტის „სოხესი“



სცენა პირველი — კლიმენტის კაბინეთში

პენსიონერი: — ნეტა როგორ ხასიათზეა დღეს კლიმენტი. კიდევ ივინება და ილანძღება?

ინვალიდი: — ვილაც ერთი კინწის კვრით გამოისტუმრა. შედი, რას უცდი?

პენს: — შენ შედი, თუ არ გეშინია. მე ხეალ ან ზეგ მოვალ, როცა დამშვიდდება. ერთი კვირაა დავდივარ და შეხვლა ვერ გამიბედნია. (მიდის).

ინვალიდი: — ერთ დღეს დავბადებულვარ და ერთ დღეს მოგკვდები. გერმანიის ფრონტზე ცალი ფეხი დავკარგე, მაკენზენის არ შემშინებია და ამ კლიმენტი თალაკვადემ ასე რაღა უნდა შემაშინოს. (პირჯვარს დაიწერს გულის გასამაგრებლად და შედის).

კლიმენტი (პენსიონერებს): — ეს ახალ კონსტიტუციაშიც სწორია, რომ „ვინც არ მუშაობს, არც სჭამს“. თქვენ არ მუშაობთ და ჭამას ქე თხოულობთ.

პენს: — კონსტიტუციაში სწორია, რომ მოხუცებულებსა და შრომის ინველიდებს სანელმწიფო უზრუნველყოფს.

კლიმენტი (ინვალიდას): — ჰო, კი. ვინ გეხვეწებოდა, რომ ფეხი მოიტეხეო. აძლიე ახლა ამ ვაყბატონს მუქთად ფული!

სცენა მეორე — კაბინეთის კარავთან

ინვალიდი: — აქ ვინმე გულშემატკივარი კაცი უნდა დაეყენებიათ, და არა ასეთი გულქვა. ეს სადაური ინვალიდა?



პენსიონერი: — ეჰ, ინვალიდი კია, მარა გულქვა მაინც არის.

ინვალიდი: — რითია ინვალიდი?

პენსიონერი: — ადამიანობითა და ზრდილობით!

პილპილი

ო რ ი ყ ლ ა ვ ა კ ე

აბა მოწვევა ზალვასი.

ყლაპაძეები სხვაგანაც არიან, მაგრამ ამ წ. პიხვევაში ჩვენ ვლამბრაკობთ ქუთაისელ ყლაპაძეებზე. ესენი არიან: შალვა გოგორიშვილი და ბარდლა ფულარია.

შალვა გოგორიშვილი სპეციალურად მოიწვიეს ქუთაისში და უთხრეს:

მუშაობის თავმჯდომარედ წინად იყო ბოკერია, ჭამის მადით და შოვნის ფეხი კაცი ლომის ბოკერია. ის წავიდა... სხვებმაც ჭამეს, და რაც დარჩა შეუჭმელი, მოდი შალვა და შენ ჭამე, ჩავიხველე ჩვენაც უელი.

საწყალი გულის კაცია შალვა და დაეთანხმა მეგობრებს.

მე-2 მალაზიაში გამგედ მოეწყო.

აბა სახლის შემინის ამბები

რა მისი ბრალია, რომ „მალა ჭამაში მოდის“. ისიც მართალია, რომ „მარტონელა კაცი პურის ჭამაშიც ცოდვია“. მაგრამ ამაზე უფრო მართალი ის არის, რომ „ხელი ხელს შბანს და ორთავე კი—პირს“... და აი, ამოუდგა გვერდში შალვას ბარდლა ფულარია და უთხრა მას:

შენ გამგე და მე ნოქარი, ხელი მივსცეთ ჩვენ ერთმანეთს; შენ თუ ორხა მიითვისებ, ვიყოფინებ მე ერთ მანეთს. შენ უჩემოდ ვერ ივარგებ, ისე, როგორც მე უშენოდ. დავხმაროთ ერთმანეთს და... და სახლები ავაშენოთ.

— რალა ავაშენოთ. ეს უფრო სახიფათოა. სჯობს აშენებული ვიყიდოთ. მე უკვე არჩეული მაქვს სახლი!—უთხრა შალვამ ბარდლას.

— რომელი სახლი?
— წერეთლის ქუჩაზე.
— ვიცი, ვიცი, ყველაზე უკეთესი სახლია იმ ქუჩაზე.

— სწორედ ის.
— რას აფასებენ?
— სამოცი ათასი. 55.000 სახლის ფასი. ხოლო 5000 მანეთი დალალის არის.

— მეც უნდა ვიყილო ურიცხვის ქუჩაზე № 30 სახლი. 30.000 მანეთს მიფასებენ.

— შენი 200 მანეთის ჯამაგირით მაგ სახლს შენს ცხოვრებაში ვერ იყიდი.

— ეს მე ვიცი, ჩემო შალვა, ვერც შენ იყიდი შენი ჯამაგირით იმ სახლს, მაგრამ განა ჯამაგირზეა საქმე.

— რა თქმა უნდა არა.
— მაშ რა ვქნათ. გიარი ქე მაქვს ფულარია, მარა ფული არა მაქვს.

თუ ჩვენ პირველ მოთხოვნის საჭონელს კერძო ბაზარზე გავუშვებთ, ახლო ხანში ვიყიდით სახლებს.

— მხოლოდ შენგან თანხმობა და... და მიჰყიდეს საჭონელი სპეკულანტ ვაჭარ-ჩარჩებს, რომ მოგება ამ ოდენით მათ ჯიბეში მეტი დარჩეს. აი, ასე შეიძინეს შალვამ და ბარდლამ საკუთარი სახლები.

აბა კოვვის ჩაგდება ნაცარსა შინა

— ცხოვრება გაუმჯობესდა და საამური ახდა.—ხშირად ამბობდა სადღეგრძელოში შალვა თავის ახალ ბინაზე.

მაგრამ ერთ, როგორც ასეთ შემთხვევაში ოტყვიან ხოლმე, ერთ მშვენიერ დღეს შალვას კარებზე დაუკაკუნეს.

— მოდიო, მოდიო გენაცვალეთ, რასა მორცხვობთ. რომ აკაკუნებთ. შიმოდით, სუფრა გაშლილია.—დაუძახა შალვამ ოთახიდან სტუმრებს.

კარები გაიღო და... იო, საკვირველებავ.

დააპატიმრეს და წაიყვანეს ეს ჩვენი შალვა გოგორიშვილი; უთხრეს—გავიგეთ ვინცა ბრძანდებით რა ხართ თქვენა და როგორი შვილი.

აბა უსტარი ზალვასი მოწვირილი ბარდლას მიმართ:

ბარდლა ჩემო, გამარჯობა. თუ დადინარ კიდევ გარედ. ღმერთსა ვთხოვ, რომ შენი ხვედრიც არა გახდეს ასე მწარედ. დაიხსომე, ჩემო ბარდლა, მოუკელი ცოტა ჭამას.


ნუ აპყვები ცოლის მადას, მეგობრულად გირჩევ ამას. ის ბაზარში ეტლით დადის, დე, იაროს აწი ფეხით, თორემ, ძმაო, შენც ჩემსავით შეგკაზმავენ ზურგზე კეხით. ჩავარდები აქ და მერმე დაგივიწყებს მტერ-მოყვარე, (ო, რამდენი ფული ტყვილად სხვების ლხინში გადავყარე).

აბა პასუხი ბარდლასი ზალვასადმი.

შალვა ჩემო მეგობარო სიცოცხლეზე უფრო ტყბილო, არაერთჯერ მოგიტანე მე სურსათი ათი კილო. მე შენ დაგრჩი გარედ მაინც. მაგრამ მე კი ვინ დამრჩება. დღეს ანდა ხეალ მანდ ვიქნები, კარგად ვიცი არ შემრჩება.

— მახლას, შემო შალია. ჩვენთვის არ გაშართლდა, რომ ამბოქნ: „კოპირაცია“ გზა სოციალიზმისაკენ“. სოციალიზმისაკენ კი არა, გამსახლისაკენ ყოფილა. იმაზე უარესი არაფერი ყოფილა, როცა კაცი ყოველ წუთს ელოდება დაპატიმრებას.

ლეჰაქეთელი.



ნან. ღონის

გახურებული სამუშაო დღეა. მე კი ვწევარ ლოგინში, თავი მისკდება. მოთენთილი ვარ. ნუ თუ ამ ერთმა დღემ შრომის ავტორიტეტი უნდა დამიკარგოს? ვფიქრობ, გავაფორმო ბიულეტენი. მაგრამ როგორ? ფიზიკურად ჯანმრთელი ვარ, სიცხე არა მაქვს, სიმულიანტი კი არადროს ვყოფილვარ.

დღის 5 საათია. საშსახურიდან ამხანაგი შოვიდა ჩემს სანახავად და ექიმიც მოიყვანა. ექიმმა გამისინჯა მაჯა, გული, ფილტვები... რა თქმა უნდა ყველაფერი წესრიგზე აღმოჩნდა.

- რატომ წევხართ?— შემეკითხა ექიმი.
- წუხელის რკინის გზის კლუბში ვიყავი.
- ალბათ კულტურულად დაისვენეთ.
- როგორც ხედავთ, დღესაც დასვენებული ვარ, თუ მთლად არ გამასვენეს.
- ალბათ ძლიერი დრამა გაჩვენეს და ნერვები აგეშალათ.
- არ ვიცი დრამა იყო თუ კომედია.
- გიპნოტიზორის სეანსები ხომ არ იყო?
- არა, ეს კი მახსოვს. ხალხი ყვიროდა: — იშვილ დენგი აბრატნაო!
- მაინც რას უყურებ?
- მგონი კინო იყო.
- ხმოვანი თუ მუნჯი?
- არც ხმოვანი, არც მუნჯი, არაჩვეულებრივი ხრინწიანი.
- რამდენი მოქმედებიანი?
- არ ვიცი.
- როგორ არ იცით. ის მაინც გაიხსენეთ, რამდენჯერ განათდა და დაბნელდა.
- მაგისი მიხედვით ასოცი მოქმედებიანი იყო.
- როგორ!
- ასოციჯერ დაქრა და განათდა.
- როდის დამთავრდა კინო?
- ღამის ორ საათზე.
- ალბათ მეოთხე სიანსზე თუ იყავით!
- არა, სიანსები არ იყო. დაიწყეს. 11

საათზე და გაათავეს... გაათავეს თუ არა, არ ვიცი, ექიმო. მგონი ნახევარიც არ გაუთავებიათ. როცა გამომეღვიძა, მივიხედ-მოვიხედე. დარბაზში 3 კაცი ჩემსავით ვაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, კინო აპარატი საზარლად განაგრძობდა ხროტინს, საშინელი ცხოველივით ჩხაოდა. ეკრანზე კი 19 ივნისის მზის დაბნელება მეგონა. კლუბის დარბაზი საცოდავად მიყურებდა, მისი თვალები ნათლად მევედრებოდნენ— დამეტოვებინა დარბაზი. მეც შევუსრულე წადილი, გამოველ ვარედ და მინდოდა გამეგო, თუ რა მიდიოდა კლუბში. ეს უკანასკნელი იმედოვნად გამიცრუვდა. კლუბის ერთადერთი აფიშა ვილაცას ჩამოეფხრიწა (ალბათ გაჯავრებული თუ იყო). წამოვედი სახლში და ახლა კი ამ მდგომარეობაში ვარ.

ექიმმა ყოველივე ამის მოსმენის შიმდეგ გამომიწოდა ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტის საგზური, რომელზედაც ასეთი დიაგნოზი ეწერა: ქუთაისის რკინიგზის კლუბის კულტურული მომსახურების მსხვერპლი. ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა სხივებით ნერვების დასაწყნარებლად.

კუსპარ ივანიძე.



ო, როგორი ძნელი ყოფილა მეორე ფეხის მომარება! ღამის შუაზე გავიწლიხო!

ორგული სვაუი სურავს... სა ფაფახად თავზე ჰხურავს

იყო ერთი კაცი
(და ის ახლაც არის).
სხელია მიშა,
წულია გვარი.
არტელ „რეფლექს“ იგი
განაგებდა წინათ.
ქაფნადები ფულით
შეიძინა ბინა.
თორმეტ ათასამდე
მას დაედვა ვალი,
მაგრამ გამოვიდა
ის ნაპირზე მშრალი.
შეიძინა ნოხი,
ხავერდი და ფარჩა.
შვიდი ჩამოსწერეს,
ხუთი მასზე დარჩა.
წერეთელი შვილის
მას ევგენი ღიდად.
მიტომ არის მიშა
ახეინად, მშვიდად.
„რეფლექს“ ჩვენმა მიშამ
მიანება თავი;
მაღე გამონახა
მან სულ სხვა სახრავი.
პედაგოგთა კოლპში
ის მოეწყო სწრაფად.
იქაც მისებურად
მიშამ ბლომად ქაფა.
გაუგეს და მალე
იქაც მოხსნეს მიშა.
გული გაიკეთა:
„ძინც არა ძიშავს.
ერთხას ხომ მეყოფა
ძველი ნაქაფავი!
კომბინატში უნდა
შეგაცუო ნავი“.
და კვებკომბინატში
გადაუშვა ღუზა.
იქის მიშამ კარგად,
მასაც რასაც უნდას.
მასთან გაჩნდნენ, ვისაც
მისი ხმა ხვდა, ეროვ:
ევგენი და ნიკო
ნადია და სერგო.
ორი ილო ერთად
(გვართ სხვადასხვანი).
დამწყებია მიშა
ესენი კი — ბანი.
მარგარინის ფასი
არა ჰქონდათ დიდი.
ჯიბის სასარგებლოდ
მოუმატეს შვიდი.
მარგარინის ფასი
გაუტოლეს კარაქს,
(ნუ ყიდულობს იგი,
ვისაც ფოლი არ აქვს).
და ამყობს მიშა:
სხვებთანა ვარ სწორი,
ცულს თუ იტყვის ჩემზე
კაცი ერთი.. ორი.
სიტყვა მიჭრის მკვეთრად,
მჭვია მიხეილი.
ჩემგან არ უნახავს
არვის ჯერ ხეირი.

33—31



პროვოკაციის მსხვერპლი

გაზაფხულზე ბაზრობის დღეს საყოლიელ კოლმეურნეს, რომელსაც ურმით ჩამოეტანა გასაყიდად სიმინდი, გოჭი, ქათმეზა და სხვა, ქალაქში გაებნა ძალდი-მურკა.

ბევრი ირბინა მურკამ, სადაც კი იყო ნაყოფი, ყველგან მიაკითხა. მაგრამ ამაოდ. დარჩა უცნობ ქალაქში, უპატრონოდ. ხან ქალაქის ბაღში ათია ღამე. ხან საგანგებოდ გაკეთებულ „სკვერში“. სიმშილმა შეაწუხა. არავინ აძლედა პურს. დადიოდა დღეებდა უპატრონო მურკა გულკეთილ ადამიანს, მაგრამ ვერ ნახულობდა. ერთი ცენახოთ, ხმა მოესმა, ვილაც სტიროდა თუ მღეროდა მასზე:

„მურკა მაია მურკა,
მურკა ზალატაია“..

გაუხარდა ძალღს და გაექანა. პირდაპირ აზიურ სასადილოს მიადგა. იქიდან ისმოდა ეს ხმები. მას ეგონა, პატრონი დაძებდა და ეძახდა მას. მაგრამ გულთბილი შეხვედრის მაგიერ პანტურის კვრით გამოაგდეს სასადილოდან, სადაც ისევ გაისმოდა ზურნისა და თარზე ხრინწიანი ხმით სიმღერა:

„მურკა მაია მურკა,
მურკა ზალატაია“..

ამის შემდეგ მურკამ შეკრიბა მეგობრები. პირველი თათბირი, რომელსაც 15 ძალდი

დაესწრო, ჩატარდა ქალაქის ბაღში. მურკამ წინადადებით თითოეულ სასადილოს სამი უპატრონო ძალდი მიამარგეს.

მურკას პირობებიც შეიცვალა. საქმე ვარგად მიდიოდა, რომ ერთ ენამყივანა მოქალაქეს არ წამოესროლა პროვოკაცია:

— არიქა, ძალღებო, თავს უშველეთ. ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებით მოხეტიალე ძალღებს იჭერენ და სადაც გასატყავებლად აგზავნიან, ვინაიდან, ქალაქში „ცოფის“ ნიშნებია!

მურკა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და თვითმკვლელობის მიზნით ავტობუსს შეუვარდა ბორბლებში. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მიუვიდა ქალაქის სანიტკომისიას, რომელმაც ძალღების დასამშვიდებლად განაცხადა: მართალია პასტერის საავადმყოფოს ცნობით ცოფის ნიშნები უკვე არის, მაგრამ უპატრონო ძალღების ჭერა და გატყავება ჩვენ არც კი გვიფიქრია. ეს პროვოკაცია არის და ძალღებს შეუძლიათ ქალაქში თავისუფლად ისეირნონ!

ასე გახდა საწყალი მურკა პროვოკაციის მსხვერპლი.

კოსტაიდი.

ქუთაისის სავაჭროებში

„დედათა და გავფთქა“ მალაზიაში

—დედოფალა მიყიდე,
გენაცვალე დედიკო!—
დედას ემუდარება
თმა-ქოჩორა მედიკო.

დედამ შვილის სურვილებს
გვერდი ვერ აუხვია.
(დედის გული შვილისათვის.
კეთილი და უხვია).

—დედოფალა მიბოძეთ!

—რა ღირს? ოცი მანეთი!—

დედამ შვილს გადახვდა,
განსტყერტეს ერთმანეთი.
და უსიტყვოდ დასტოვა
დედამ ეს მალაზია.
მედიკო არ ეშვება:

—დედი, რა ლამაზია!

და როდესაც გოგონამ
აცრემლება ინება:
დედამ უთხრა: ნუ ტირი,
ძალღივით იკბინება.

„დავესკა“

იყო მოღამი წინად „დავესკა“,
თუთუნთან ერთად გაწვიდინენ შიბაქს.
უარს კადრები, სიტყვას გახლიდენ,
—რატომ შიბაქი თანვე არ მიგაქვს?
თუთუნთან ერთად ჩიბუხის ნაცვლად
გამოგადგებთ მერწმუნეთ ესა.
სხვა გზა არ იყო, და მეც უსიტყვოდ
ემორჩილდებოდი საერთო წესსა.
მაგრამ ახლა სხვა დადვა მომენტი
და თუ შიბაქი არ სურს დომენტის,
ვინ გაუბედავს „დავესკას“ ამგვარს,
მყისვე ჩვენს „ნიანგს“ მიაწვდის ამბავს.
მაგრამ ზოგიერთს, ეს როდი ესმის...
აი, სამხედრო კოოპერატორებს
„დავესკის“ წესი კვლავ ძველებურად
სავაჭრო დარგში გააბატონეს.
—გნებავთ კალოში... ინებეთ, მაგრამ
თანვე „დავესკად“ „დამკა“ წაიღეთ,
—დამკაც მაქვს, ნარდიც და ბილიარდიც.
—რომ გეუბნებით, ძმაო, გაიგეთ.
ემუდარება მუშტარი მაგრამ
მისი ხმა რჩება „უდაბნოს შინა“
ნეტავ ეს წესი უარყოფილი
კვლავ ხელმეორედ ვინ დაადგინა.

ვაკო.



აბა, ვინ ეცალა ამ სიცხე-პაპანაქებაში გართობისათვის. მინდვრად გახურებული მკა იყო, სახლში დარჩენილი ბებრები და ბაღები შექამანდის კეთებას და მინდორში წაღებას ვერ აღიოდნენ.

და ასეთ პირობებში ჩვენ სოფელს ვიღაც სამი შუახნის კაცი ესტუმრა და სახლების ყველგან ააჭრელა შემდეგი განცხადებით: (ვიცავთ მათ მართლწერას):

დღეს, სოფლის კლუბში, დღეს დიდი სახამო
ცივანკი პენსები
სოლო იმღერებს პროგრამაშია ცივანების და ტურფავ-ტურფავ და სულიკო უკანასკნელ მასხარადის ბილეთები იყიდება აფთიაქში.

სალამოდე არც ერთი ბილეთი გაყიდულა: აფთიაქში ბილეთი კი არა წამალი არ იყიდებოდა ამ უკანასკნელ დროს. არავის ეცალა ავადმყოფობისათვის. ამიტომ ასეთ დროს გამართულმა საგასტროლო სალამოდ ვერაფერი ინტერესი გამოიწვია სოფელში.

შელამებისას, როგორც იყო, გააზიარულეს კლუბის ფასადი ბავშვებმა: ორმოცამდე ბავშვი ეწვია სალამოს. ხელში ზოგს ყვერცხი ეკავა, ზოგს—შოთი პური, რომ პირდაპირ ნატურით შეეძინათ ბილეთი. ქვსატობა უმადლეს წერტილზე ავიდა და გასტროლოლორები დათმობაზე წავიდნენ: სალარო ოცდარვა ყვერცხმა და ხუთიოდე პურმა გაამდიდრა.

მარტო ბაღებისათვის ხომ არ ჩატარდებოდა ასეთი „საინტერესო“ პროგრამა. უკვე შელამდა და მოზრდილები ყურებსაც არ იბერტყავდნენ. მაშინ კოობის გამგემ საინტერესო წინადადება მისცა გასტროლოლორებს:

— ერთი ოციოდე მანეთი უნდა გასწიროთ. მედოლე და მეპარმონე მოვიწვიოთ, დაუკრავენ და იმდენი ხალხი მოვა, რომ

ტევა აღარ იქნება.

— ჯერ თუშანიც არ შემოსულა სალაროში და შეიძლება ტყუილად გადავყაროთ ეს ფულები.—ექვი გამოსთქვეს გასტროლოლორებმა. ბოლოს ამაზედაც დასთანხმდნენ და მცირე ხნის შემდეგ პარმონი აქყვიტინდა კლუბის ეზოში.

ბაღლებს ყმაწვილები მოჰყენენ უკან: გაიყიდა თექვსმეტი ბილეთი, თექვსმეტი მანეთის.

როგორც ფუტკარი ტაშტის ხმაურზე ისე დაესია პარმონის ხმას ხალხი. ახლა კლუბის დარბაზში შეიყვანა კლუბის გამგემ მეპარმონე და მედოლე. ამ გზით მახე დაუგეს ლხინის მოყვარულთ: პარმონი კლუბში უკრავდა, კლუბში შესასვლელად კი ბილეთის ყიდვა იყო საჭირო.

და აივსო კლუბი ხალხით.

დარბაზში წრე გამართეს, ლეკური გაიჩაღეს.

კარგა ხნის მერმე სცენის ფარდის წინ გააუდრულ-გათხუბნული გასტროლოლორი გამოვიდა, სიჩუმე მოითხოვა. ვინ გააჩერებდა დოლს და პარმონს: ტრაქტორისტი კოლა გახურებული ცეკვავდა. ბოლოს, როცა დოლი და პარმონი გააჩერეს წყრომით მიმართა გასტროლოლორმა ხალხს:

— საყვარელო კოლმეურნებო, ძალიან მიკვირს თქვენი საქციელი, აქ სოლო გყვავს მოყვანილი, ცივანის სიმღერა იქნება, არ გაინტერესებთ?

— რაო, რა იქნებაო.

— ვიღაც ცივანი სოლომანა ჰყოლიათ, ის იმღერებსო.—გაისმა ჩურჩული ხალხში.

ფარდა აიხადა. სცენაზე გააუდრულ-გათხუბნული გასტროლოლორი გამოვიდა და რომელიღაც ბოშური სიმღერა წამოიწყო რუსულად. კულისებში იჯდა მასწავლებელი ლელო და გიტარას აყოლებდა ბოშურ რომანსს.

მაინც და მაინც ვერაფრად შეწყვენენ დამსწრენი ამ სიმღერას. ქანდარაზე მჯლოში სოფლის ბიჭები ანგობის ექსტაზში შევიდნენ და ყვირილი ატეხეს:

— იფ, სოლომონ!

— კარგი რამე, კარგი!

— ეგ როგორი ცივანია, რა ცერვად იცვია!

დარბაზში სიცილი ატყდეს, მიჩრთე ხმაურით ბაში გადავიდა და ჩოჩქოდმა იმატა. მომლერალმა აღარ იცოდა რა ექნა სიბრაზისაგან. ხალხის დასამშვიდებლად ხერხს მიმართა: ბოშური რომანის შუა ნაწილიდან „სულიკოზე“ გადავიდა. გიტარის დამკვრელი სულმთლად დაიბნა, შეაჩერა გიტარა. მომლერალმა კი, უფრო მეტი ინტერესის გამოწვევის მიზნით ხმას აუწია და ტორტმანს უმატა სცენაზე: ხელებს და ფეხებს ბნედიანივით აქნევდა და საშინლად გაჰკიოდა: „სადა ხარ ჩემო სულიკო...“

ამ ტორტმანის დროს მარცხენა ფეხი იატაკზე მდგარ ნავთის ნათურას წაჰკრა. ნათურა გადაბრუნდა, ნავთი დაიღვარა და იატაკს ცეცხლი მიეღო.

— დაიწვას ჩვენი დამწველი.—შირიდან იხუმრა ვილაცამ.

ცეცხლს ალი მოემატა და ზომების მიღება იყო საჭირო ხანძრის ჩასაქრობად. კლუბში წყალი არ აღმოჩნდა. კლუბის გამგე ამ დამისთვის საჩიფოდ მომზადებულ ღვინით სავსე დოქს წასწვდა, სცენაზე გამოიტანა და ღვინით ჩააქრო ხანძარი.

ფარდა დაიხურა და დარბაზში კვლავ დოლის და პარმონის ხმა გაისმა „შვიდობით გადაჩრჩინის“ აღსანიშნავად...

—:—

ღამის პირველი საათი იყო. სცენაზე ძილისათვის გამზადებული გასტროლოლორები ელოდებოდნენ—როდის გათავდებოდა პარმონის ჰყვიტინი დარბაზში.

ამ საკითხით დაინტერესებულმა კლუბის გამგემ „ამირიკა“ აომოაჩინა: ხალხის მოშორება რა ძნელი საქმეა. რადიო დაეუკრათ და ყველანი გაიქცივიანო,—სთქვა...

მართლაც, ამ ხერხმა საუკეთესო შედეგი გამოიღო.

8. ივანიშვილი

ნკიპურგები


ყელზე მივი ავისხია,
გოგოვ ბროლის კბილებავ;
ტუჩებზედაც ვაგისხნია
„ტეყეს“ განყოფილება.
წელში ისე ივანწები,
თითქო ქარი ლერწამს ღუნავს,
გოგო, აღმათ კბილი გტკივა,
ბერეტი რომ ყბაზე ვხურავს.
ბიუროკრატს სიკვდილმა უთხრა:
— უწყება ჩაიბარე,
— დღეს დრო არ მაქვს, მოქალაქე.
ხვალე შემოიარე!
დღეს წმენდაზე ქრისტეფორეს
ზურგზე ბოლი აადინეს,
მოისმინეს. დაადგინეს,
ვარიცხეს და აღადგინეს.
წუხელ თურმე ქურდ-ბაცაცებს
თეკლეს ბინა გაუღიათ.
თეკლეცა და მ-სი ქმარიც
ტახტიანთ წაუღიათ

დონ კილოტი

ბოსელი არ გეგონოთ

სოფ. მემრე ინტოვოს (აბაშის რ.) კლუბშია

ნან. დონის



ღორი: — მეგობრებო, თუ აუცილებელია თქვენს შორის ჩხუბი, ეზოში გამოდით, თორემ მოხალღნელია ეს ჩვენი მუდმივი საცხოვრებელი თავზე დაგვენგრეს!



— მე ეს ქული ძალიან მომწონს, მაგრამ სხვა უნდა ავიღო, რადგან წინასწარ ვიცი, რომ ჩემს ქმარს არ მოეწონება!

— თქვენ ეს ქული ისე გიხდებათ, რომ გირჩევთ ქმარი გამოიცვალოთ, ვიდრე ეს ქული.

უ ს ა თ ა უ რ ო

(სოფ. მეფენა, ჭუთაისის რ.)

— თავს ეუშველოთ, მოდის!— იძახდა ცხენი და გარბოდა. მას უკან ნისდევდა სხვა ცხენები და უამრავი ღორი.

მართალი ყოფილა, რომ იტყვიან— შიში მანახვე და გაქცევას განახვებო... ღორები ისე გარბოდნენ, რომ ცხენს უკან არ ჩამორჩებოდნენ.

— რაშია საქმე?— ვკითხვს სოფსაქოს თავმჯდომარეს.

— ალბათ თვალი მოჰკარეს ვეტეჩიმ მესხს.

— მერე რა?

— ამას წინად ღორებს აუცრა და უხვირო აცრის გამო 85 ღორი იმსხვერპლა. ამიტომ ღორებს ეშინიათ და გარბიან.

— ცხენები რატომ გარბიან?

— იმიტომ, რომ მათაც ეშინიათ, ნაბჭონ ბედაურ ცხენს ნემსი გაუკეთა და იხინი მოკვდა.

ამ ლაპარაკში ვიყავით, რომ გამოჩნდა მესხი. მას კოლმეურნე მოჰყვებოდა ლაპარაკით:

— თქვენ გასინჯეთ ჩემი ძროხა და თქვით, რომ მაკეაო. ამის გამო ყველი შემომაწერეს. უკვე შევიტანი დამზადებაში, მაგრამ უკვე გავიდა ერთი წელიწადი და ხბო მაინც არ მოიგო ძროხამ.

— აბორტი ხომ არ გავიკეთებია? ნომ იცი ახლა აკრძალულია აბორტი.

— მეხუმრები, ეჭიმო!

— აბა ბერწი ყოფილა და რა ჩემი ბრალია. ძროხა კი არა, ზოგიერთი ქალიც არის უშვილო და ესეც ჩემი ბრალია?

— თქვენ უნდა შეგეტყუოთ, ეჭიმი ხართ!

— რა ვიცი, მშუცელი გაბერილი ჰქონდა.

— გამაძლარი იყო და იმიტომ.

— ჰოო, ეს სხვა ამბავია. შენი ბრალი ყოფილა, რატომ მოიყვანე გამაძლარი?

— ეს არის საქონლის ეჭიმობა?

— არა-და ჩემზე უკეთესია თქვენი ეჭიმი შვანგირაძე. თუ კოლმეურნე მივიდა მასთან წიგნაკით, თითონ ხდება ავად და გასინჯვა ეზარება:

— თითონ ვარ ავად, არ შემიძლია თქვენი მიღება.— ეუბნება მათ. ხოლო თუ ორსამთუმნიანი დანახვეთ, მაშინ კი:

— აი ეს კი მომწონს!— და მწვევარებით გარბის ავადმყოფთან.

— ეეჰხ. არც ერთი არა ხართ დოვლათი.

— ხელის ჩაქნევით ჩაილაპარაკა კოლმეურნემ.

სცენა პირველი

ტელეფონის აპარატთან.

ხმა: — ტუ-ტუ-ტუ-ტუ-ტუ!

სადგ. მორიგე: — ძირულა! ძირულა პა გისმენთ ძირულა!

ხმა: — მატარებელ № (კელასური—ტფილისი) თავისუფალია ექვსი პლაცკარტი, გაყიდეთ უბლაკარტო და პლაცკარტიანი ბილეთები.

მორიგე — (მოლარეს) გაყიდეთ კელასურზე ბილეთები პლაცკარტიანი და უბლაკარტო — პლაცკარტზე თავისუფალია 6 ადგილი.

სცენა მეორე

პირვ. მგზავ. — მომეცით სამი ბილეთი, ააშური.

მოლარე. — (აძლევის ბილეთს)

მეორე მგზ. — მომეცით ტფილისის ბილეთი, რბილი ვაგონის 3 ცალი.

მოლარე. — რბილი ადგილები არ არის, პლაცკარტი გახლავთ.

დანარჩენი მგზ. — მომეცით ტფილისი,

— ხაშური,

— გომი

— ბორჯომი

— ავჭალა

— ტფილისი...

სცენა მესამე

სადგურის ბაქანი. მატარებელი დგება.

მგზავრები. — წინა ვაგონს აშურებენ ისმის ძახილი: ელპიტე, მაკო! ჩქარა არ დავრჩეთ.

ვაგონ. 1 კონდუქტ. — სად მიხვალთ, აქ ადგილი არ არის, უკანა ვაგონში წადით.

მგზავრები: (უკანა ვაგონისაკენ მიდიან)

2 ვაგონ. კონდუქტ. — სად მიხვალთ, აქ ადგილი არ არის, უკანა ვაგონში წადით თავისუფალია იქ.

მგზავრები. — (მესამე ვაგონს მიყვებიან)

კონდუქტორი. — სად მიხვალთ, აქ პლაცკარტიანია, არ შეიძლება,

მგზავრები: — პლაცკარტი გვაქვს, ამხ. კონდუქტორო.

კონდუქტორი. — სულ ერთია, აქ ადგილი არ არის, უკან მიბრძანდით.

მგზავრები: — უკან შენ თითონ მიბრძანდი, ბილეთი გვაქვს.

(კარებს უკან მიიწევენ)

კონდუქტორი: — არ შეიძლება ადგილი არ არის. ვას გავარიატ, მესტი ნიეტუ, უკან უკან სულ ცარიელია.

მგზავრები. — (უკანა ვაგონისაკენ მიეშურებიან)

უკანა ვაგ. კონდ. — სად მიხვალთ, ადგილი არ არის, წინ მიბრძანდით!

მგზავრები: (შუა ვაგონებს აწყდებიან, ისმის მეორე ზარის ხმა).

ისევ კონდუქტორი. — არ შეიძლება! მესტა ნიეტუ! ვას გავარიატ! (მგზავრების ნაწილი კიბის საფეხურზე ამარებენ თავის „პოზიციებს“. მატარებელი მიდის. სადგურზე დარჩენილ ეფროსინეს გული უწუხდება).

მაკრინე: (მატარებელიდან, ყვირის): — მიშველეთ! მიშველეთ დავიღუპე! ვუი! ვუი! ვუი!...

კონდუქტორი: — მესტა ნიეტუ, ვას გავარიატ, მესტა ნიეტუ, აშტრაფუიო!

მგზავრები.

გალი.



— ეს ხილი პირველი ხუთწლედის პირველ წელს დაიწყეს და ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ, მხოლოდ თავი გააკეთეს.
— მეტი არც არის საჭირო, სოფელსაც ხილისთავი ჰქვია

ქოსადილე ათას კაცზე
ქოდის ერთი მიმტანნი,
კატლეტი რომ დანიტ დასჭრა,
უნდა იყო ტიტანი.
ლიმონათი მომიტანეს
ეწოდება „იმერი“,
სიცხით ორთქლი ასდიოდა
ამომიწვა კისერი.
თუ კიტრის ფასს გინდა მისწვდ
უნდა იყო ატლეტი,
მიკროსკოპით დავინახე
ერთი კერძი კატლეტი.
სასადილოთ რესტორანში
ვიცდიტ მე და რომანი,
ერთი კერძის მოტანამდი
წავიკითხეთ რომანი.
მაგიდაზე წყალს ვერ ნახავ;
გუებნება მსახური:
— „ვერ გაკადრებ, არ იქნება!
ბლომად გახლავთ კახური!“
ანგარიში მოვიტხოვე,
გასწორება მსურდა
მანათიდან გაიყოლეს
ცხრა შაური ხურდა.

მედუზა.

ორი კრივიკოსი

ქუთაისში ქალაქის ბაღთან ხედება ერთ-
მანეთს ორი მოქალაქე. ორივენი თავის
თავს კრიტიკოსს უწოდებენ.
მალე საუბარს იწყებენ.
— არ მომწონს ქანდარაძის მოთხრობა.
— არც მე მომწონს.
— მისი მოთხრობის „პროპელერის“ თემა
საერთოდ მოძველებულია.
— ეგ არის მთავარი ნაკლი. თემა მეტის
მეტად მოძველებულია.
— ქანდარაძე ერთ ადგილზე გაიყინა... გა-
ქვავდა მისი შემოქმედება ერთ განსაზღვ-
რულ საფეხურზე.
— მაგ მეც მაფიქრებს, ქანდარაძის წინ-
სვლა არ ეტყობა.
— მე მის მომავალზე ეჭვი მეზადება,
თუმცა ჯერ მის მიერ გამოქვეყნებული ნა-
წერებიდან არაფერი წამიკითხავს.
— არც მე წამიკითხავს...

კოდლა.

პატაკი ნიანგს

(ორჯონიძე)

გვინახული, ნიანგოჯან!
შენი ჩანგლით გელიან.
აქ ქუჩები ყოველ ღამით
უკუნეთი, ბნელია.
◆ ◆ ◆
წოსადგური არ მუშაობს
მთელი წელიწადია
და, ნიანგო, შენი ჩანგლის
დახმარება გიწადია.
◆ ◆ ◆
გზას ვაშენებთ, მაგრამ ტემპი
გვაქვს ისეთი ნელია
რომ ხუთწლიდში კილომეტრზე
გზის გაყვანა ძნელია.
◆ ◆ ◆
სასადილოს გემდურებით,
დამპალ თევზს იმარაგებს;
მოდი, ბლომად დაგახვედრებთ
შენი კბილის ზვარაკებს.

ქედანი

სვანეთის ამბები


სატყეო განყოფილება
ტყის მოვლაზე ნაკლებ ზრუნავს.
ალი ამბობს: ჩემო ძმაო,
ეს ქვეყანა მაინც ბრუნავს...
რა ვუყოთ, თუ ჩაქსელიანს
მოუტანეს გუდით ყველი;
მაშ რილასი მაქნისი ვარ
ან რად მქვიან „ტყისა მცველი“.
გულიდადან დასტურს აძლევს,
მალვა ლიპარტელიანი.
ამბობს: აბა, როგორ შეესვათ
„ადესა“ და „თელიანი“.
„სახეპრობა“ რომ მენახა,
დამერწმუნეთ, დიდად მსურდა,
რადგან მითხრეს: იქ უყვართო
„ბუჩუყი“ და ცოტა „ხურდა“,—
მაგრამ კარი დაკეტული
დამხვდა ისე, როგორც ხშირად.
იქვე, მითხრეს: საქონელი
რად ფასობსო ასე ძვირად?..
სასადილომ სად მოჰკრიფა
ამოდენა ძვლები, ნეტა?
სულ ყოველდღე ამის ყლაპვით
ლამის ყელი ჩაგვეკიტა...
ჯერ ეს იყოს... თუმცა წურტილის
მე აქ დასმა მეძნელება,—
მოკლე დროშიც მომისმინეთ
ამ ამბების ვაგრძელება.

სვანეთში ნამყოფი.

ქუჩათა მოთქმა

ამხ. ნიანგო. გავიგეთ ქუთაისში ჩამოსულხარ რა გიჭირდა, შე კაი
კაცო, ერთი ჩვენსკენაც გამოგველო. მართალია, ჩვენ ისე ვართ
გაფუჭებული, რომ ჩვენზე გავლა შეუძლებელია, მით უმეტეს
ავდარში, მაგრამ შენ მაინც შეძლებდი დაბრკოლებების გადალახ-
ვას. ბევრჯერ გამოგვიცვალეს სახელები, მაგრამ ერთხელაც
არ გამოგვიცვალეს იერი. როგორც ვიყავით მინგრეულ-მონგრეუ-
ლი, ტალახიანი, ორმოებიანი, ისეთვე დავრჩით. ჩვენ ვატარებთ ამხ.
ამხ. სტალინის, ორჯონიძის, თავისუფლების, ვანოგ-ნარდაღი-
შვილის, პოეტი ბარათაშვილის და სხვა ასეთ საპატიო ადამიანთა
სახელს. ამით უნდა ვამაყობდეთ. მაგრამ გვრცხვენია, რომ ასე გა-
ფუჭებული და უპატრონოდ ვართ. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს
ბაღის ახლოს ყველას კირწყლავენ. ეს კარგია განა შეგვეშურს მაგ-
რამ ცოტათი ჩვენც მოგვაქციონ ყურადღება.
ეგებ რამე გვიშველოთ და აღმასკომის წინაშე შეუამდგომლობა
აღძრათ ჩვენი შეკეთების შესახებ. ამ წერილს მოგაგზავნიან!

ლ. გვანანელი



J. Kado

— უველაუერი ჩემი სხვისია, უველაუერი სხვისი — ჩემი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარგია ბანაობა... აბანო.
ქუთაისის კომუნალური განყოფილების
აბანოში შევედი. საღამო იყო, საათის ისრე-
ბი რვას მიჩვენებდნენ.

ბილეთის ავიღე.
ვიცადე ერთი საათი, მეორეც, მაგრამ
მანძი არ დაადგა საშველი აბანოში ჩემს
შესვლას.

ბოლოს, როდესაც ნიანგის კუდივით გრძე-
ლი და სუსხიანი რიგი გავიარე, მელირსა და
შევედი ნომერში. თერთმეტ საათს ათი წუ-
თი-და აკლდა.

შევისაბნე თავი, ტანიც, დავიწყე ბანაობა,
მაგრამ სინათლე ჩაქრა. დავრჩი შესაბნული.
თვალეებს ვერ ვახელდი (ან რად მინდოდა
რომ გამეხილა. სიბნელე იყო და მანძი ვე-
რაფერს დავინახავდი).

ვევიროდი, ვჩხაოდი, მაგრამ არავის ესმო-
და ჩემი ყვირილი და ხმა ჩემი რჩებოდა
ხმად მლაღადებლად აბანოსა შინა.

როგორც იქნა წავაწყდი ონკანს, მოეუშვი,
ცხელი წყალი გამოდგა. ვეძებდი ცივ წყალს,
ვერ მივაგენი, ბოლოს ისიც ვიპოვე. ახლა
ცხელი წყლის ონკანი დამეკარგა.

ვიწრიალე ასე დიდხანს და როგორც იყო,
ხან ცხელი და ხან კიდეც ცივი წყლის სხმით
მოვიშორე ჩემს სხეულზე აქაფებული სა-
პონი.

სიბნელეში ძლივს ძლივობით ჩავიცვი სა-
მოსი. გამოვედი ელექტროთი განათებულ
ქუჩაში და ჩემი გაკვირვება უსაზღვრო იყო:
შარვალ-ხალათი უკუღმა ჩამეცვა.

— ფუტურისტი... ფუტურისტი!—დამცი-
ნოდნენ და მომდევნდნენ ქუჩაში ბავშვები.
ასეთი საჯაყი საქმე მიყო აბანომ.

ცინცხალი.

მადლობის გამოცხადება

ჩვენ, მლარიის შხამით გაყდენთილი
წვრილი, ნემსისებური ხორთუმითა და ქანქა-
ლა კუდიანი კოლოები დიდ მადლობას ვუც-
ხადებთ ამ პირებს, ვინც ვაჟა ფშაველას ქუ-
ჩაზე მდებარე აგურის ქარხნების წყლით
მომარაგების მიზნით გვერდი აუარა წყალსა-
დენს, მოთხარა ღრმა ორმოები, მიუშვა შიგ
წვიმის წყალი, აავსო ზამთარში, ჩააღპო
ზაფხულში და საშუალება მოგვცა დაბადე-
ბისა, გამრავლების, კბენის, ციების გავრ-
ცელებისა და სხ.

არ შეგვიძლია ჩვენი სასტიკი პროტესტი
არ გავეუცხადოთ ჩვენს მეზობელ მოსახ-
ლეებს, რომლებმაც ამავე დაგუბულ წყლებ-
ში ჩამორეკა ბატები, იხვები და სხვა ჩვენი
მტრები, რომლებიც ხშირად გველაპავენ.

არ შეგვიძლია გულითადად მადლობა არ
გუძღვნათ ქუთაისის ჯანმრთელობის სანი-
ტარული კომისიის მთლიან შემადგენლობას,
რომელმაც გამოიჩინა კოლოთმოყვარეობა და
არ აუკრძალა ქარხნის დირექციას ორმოებ-
ში დამბალი წყლის დაგროვება.

მონდობილობით კოლო.



- რატომ არ შემოიარე გუშინ ჩემთან?
- საქმე მქონდა, ვერ მოვიცალე...
- პირადი საქმე?
- დიახ, კონსტიტუციას ვსწავლობდი!

პატარა მოთხრობები

(ტობოლიაკოვიდან).

კატია რომანი.

კატია ერემიას ასული თვეში აკეთებდა
ექვსას მანეთს, რომელიც მას კარგად ჰყოფ-
ნიდა კვებასა და ტანსაცმელზე. მაგრამ კა-
ტია მანძი სამსახურიდან სახლში დაღვრე-
მილი ბრუნდებოდა.

— რა უნდა ვაკეთო საღამოობით? რო-
გორ უნდა ვავატარო დრო?

სწეები ნახულობენ მეგობრებსა და საქმ-
როსაც კი. კატიას მეზობლად ერთი მოხუცი
დედაკაცი ცხოვრობდა. სამსახურში კი მე-
კარეს მეტი მამაკაცი არავინ იყო. ტრამვაის
სარგებლობაც არ უხდებოდა მას, რადგან
სადაც იგი ცხოვრობდა, იქვე ახლოს იყო
მისი სამსახური. ბრუნდებოდა სახლში თუ
არა, მაშინვე ლოჯინში ჩაწვებოდა და იმაზე
ფიქრობდა, თუ შემდეგი ხელფასის მიღები-
სას კიდევ რა ეყიდა თავისთვის.

პალტოსათვის მან უკვე დააგროვა ათანი
მანეთი.

— ყველა ბედნიერები ხელიხელ გაყრი-
ლი დადიან, მე კი... მოდი ავიღებ თეატრის
ბილეთს. მერე-და მარტო წავალ? მონაზონი
ხომ არა ვარ? — ფიქრობდა კატია.

ჩქარა მან იყიდა საინტერესო პალტო.
მაგრამ პალტოც პირველ ხანებში ძალიან
კოტას ახარებდა. სამსახურში კი მისი პალ-
ტოთი ყოიონი აღტყობული იყვნენ.

— როგორ დააგ' ვე, კატია, ამდენი
ფული?

- მე... ჩემი ფული არ დამინარჯავს.
- მაშ, ვინ?
- მან.

ერთი თვის შემდეგ მან იყიდა ძვირფასი
კაბა და წითელი ტუფლები.

— ნუ თუ ესეც მან უყიდა!—ლაპარაკობ-
დნენ სამსახურში.

— დიახ, მან. მხოლოდ ტუფლები ფო-
ლაქები და... და თვალეები გააფართოვა.

— ოო, იცით მე როგორი ვარ? ზე მას
ტყავს გავხდი!..

გოგოლი არ გავგონოთ...

სანამ რედაქციას გადასცემდა თავის ახალ
რომანს „ცოცხალ ყურებს“, მწერალმა კი-
დევე ერთხელ გადაიკითხა ის და სინდისმა
შეაწუხა.


— ცუდია. არაფრად ვარგა, მაგრამ რა
უნდა ვქნას!.. როგორ თუ რა უნდა ვქნა?
როგორ იქცეოდა ასეთ შემთხვევაში გოგო-
ლი? ლუმელში, ლუმელში, ლუმელში?

მწერალმა აიღო ხელნაწერი და შეშინე-
ბული, რომ სინდისს არ ეღალატნა, ლუმელ-
თან მიიბრინა.

— მერე და სად წავიდა?—მან პალტო
გადაიცვა და ცოლს შესძახა:—მანა, მე რე-
დაქციაში მივდივარ.

ნიანგის პასუხი

ცხვირას. თქვენ გვწერთ, რომ დაგითვალისწინებთ სასაფლაოები და მოვისმენით მიცვალებულთა თათბირს:



— დაგლუბა რიონისკენა. მთელი ქალაქი გაჩირაღდებულია ელექტრონით. შეყვარებულებს საშუალება არ აქვთ პაემანი გაძარტონ სადმე ქალაქის ბნელ კუთხეში. მოდიან და მოსვენებას არ გვაძლევენ. ჩამოჯდებიან ჩვენს ლოდებზე და დილაამდე რჩებიან. — საყვედურობდა ერთი;

— შენ გგონია მარტო შეყვარებულები მოდიან აქ. წუხელის ერთმა ქმრიანმა ქალმა მთელი დამე გაატარა ჩემს ლოდზე ვიღაც მამაკაცთან, რომელსაც ცოლიცა ჰყავს და შვილებიც. — დაუმატა მეორემ.

— მე გავიგე, რომ ერთი ეჭვიანი ქმარი, როცა სახლიდან სადმე მიდის, თურმე ცოლს ლოგინში აბამს, რომ სახლიდან ფეხი არ გადასდგას. — ჩამოერია მესამე.

— მასეთი ამბავი მეც გავიგე: თურმე ერთი მამაკაცი, როცა სადმე მიდის, სახლის კიბეს იღებდა, რომ ცოლმა ვერ შესძლოს მეორე სართულიდან ჩამოსვლა. — დაუმატა მეოთხემ.

— ვინ არიან ესენი. — იკითხა მეხუთემ.
— ქრისტიანებო, — წამოაღო მოცვალებული დეკანოზი იუდეკო, — არ გაამხილოთ ვინ არიან, თორემ ასეთი ცული საქციელი-სთვის დასჯიან და ცოდვა ჩვენს კისერზე იქნება.

— მამ რა ვქნათ.
— ფთხოვით მილიციას, რომ ხანდახან დაზვეროს ეს ადგილები და აკრძალოს აქ პაემანის გამართვა.

— სწორია. — ერთხმად მოიწონა ყველამ.
ამხ. ცხვირა, ალბათ ერთერთი მუდმივი დამსწრე და — ამ ამბების მონაწილე თქვენც ხართ, თორემ როგორ ჩაიწერდით მიცვალებულთა ამ თათბირს.

თავზიზველას ვებუდავთ ორ ტაეპს თქვენი პოემიდან:

კარგი იყო წინათ ჩვენი
აზიური სასადილო.
მაგრამ იყო და არ არის,
ახლა გახდა სასაცილო.
სიბინძურე, ჭუჭყი, ბუზი,
სიძვირე და კვება ცული.
შიგ არ შევალ მაშინაც კი,
რომ შემოვდოს კაცმა ქული.
ვისი ქულის შეგდებაზე ლაპარაკობთ. რაკი თავშიშველა ხართ,
ქულიც არა გხურავთ. სხვა თავის ქულს არ შეგწირავთ თქვენ და
არ შეაგდებს. არც თქვენ შეიწუხებთ თავს სხვისი ქულის გამოსა-
ტანად.

სისოიას. რაკი ასე დაზეჯითებით გვთხოვთ დაგობეჭდოთ
ეს ლექსი, ვასრულებთ თქვენს თხოვნას და ვებუდავთ მას, მხოლოდ
თქვენ შეასრულეთ თქვენი პირობა, რომ მომავალში აღარ შეგვა-
წუხებთ აზნაირი ლექსებით.
მე ვნახე კაცი, რომ ქულ მოგლეჯით
ჩიონისაკენ იგი გარბოდა
და ეტყობოდა. რომ გასაჭირი
მას რაღაც დიდი თავს დასდგომოდა.

ჩანძლის ჩანბარი

კედ. ინსტ.-ის სასადილო

ეროვნული
საბავშვო

აქვს ინსტიტუტს სასადილო, სად მზადდება ბორჩი და სხვა,
სასადილო, სად სადილობს სტუდენტების მთელი მასა.
სასადილო ჯერ ასეთი არ ყოფილა მგონი არსად:
დამპალ კერძებს ამზადებენ და სიღამპლით ხორცი ყარსა.
მკლავში დევის ძალა გინდა და მუნღები მსუნაგ მგლისა,
ნებისყოფა, გამძლეობა დაბერებულ ცხენის ძვლისა,
ენა უნდა ბასრი გქონდეს, როგორც პირი ზპარსულ ხმლისა,
შეიძლება მხოლოდ ამის შემდეგ ვახდე კეოძის ღირსად.
ვთქვათ, მიილე კერძი თეფშით, მაგრამ კოვზი ან ჩანგალი,
თუმცა ეძებ, დაყილობ, მაგრამ მაინც არსად არი.
ძებნით სული დაველია, ვახდი მკვდრისა დასადარი,
რაც გინდოდა, ვერ იპოვნე, ჰყვირი, ჩხავე: ვა... სად არი?
ვერ იხილავ კოვზს და ჩანგალს, ტყვილად ჩხუბობ, ტყვილად
ანგლობ,

და დაიწყე კერძის ჭამა უკოვზოთა და უჩანგლოთ.
ხვრიპავ წვეწვს და პირი გეწვის თან გამხმარს პურს წყალში
ალობ,
გული მოგდის, ბრაზდები და გულში ჩუმად შენთვის ამბობ.
— ნიანგი რომ დაატარებს ჩანგალს, ნეტავ სად არს, სად ის?
(მამინ ველარ შემაჭმევდნენ ამ ლეშივით დამპალ სადილს),
წამოვაცვა სასადილოს მზარეული, როგორც მწვადი.
მზარეულთან კიდე სხვების აწივლებაც მინდა, მწადის.
ცინცხალი

და ვკითხე გამველეს: რიონისაკენ
ასე რად გარბის ის კაცი მწარედ.
ეგებ შეემთხვა უბედურება
თა ის თავს იბრძობს... ვუშველოთ ბარბი



მან მიპასუხა ოდნავ ღიმილით:
ის დასახრობად არ მიდის, არა
ქალაქს არა აქვს საპირფარეშო
და რიონისკენ მოკურცხლა ჩქარა.
თქვენ გგონიათ, რომ ასეთი ლექსი გავლენას მოახდენს ქალა-
ქის საბჭოზე და გამოასწორებს ამ დიდ ნაკლს. ჩვენ არ გგვონია.
როგორც თქვენ გვწერთ, ეს არის პირველი ლექსი, რომელიც მთელ
თქვენს ცხოვრებაში დაგიწერიათ. ამდენხანს სერიოზული კაცი ყო-
ფილხართ და ახლა რამ გაგაბრძოლებათ. რა მაინცდამაინც პირველი
ლექსის თემად ეს საკითხი აიღეთ. თუმცაღა ლექსი საგნებით შეე-
ფერება აღნიშნულ საკითხს.



მსაზრეთი

დარტყმა იქნება მედგარი და უკანასკნელი,
რომ მოსპოს დარტყმით, სამუდამოდ ის ძალა ბნელი

ქიქავი